



ხელის მოწერა და დასრულება... გვერდები 1-3-მდე, საბჭოთაო 5-7-მდე.

განცხადების წესი: 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ელირება 5 მანეთი.

საქართველოს კანტარისაგან... გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევიდან ღირს 4 მან.

ახალი სოციალ-დემოკრატიული პარტია... გაიხსნება საანბნო და მოსამზადებელი განყოფილებები.

თი სომეხთა და რუსთა შეთანხმება ჩვენს წინააღმდეგ შეთქმულების მოსახდენად.

„ხარვეზის კლუბი“... საზოგადოებრივი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

ომის დღიური

გიგის რაიონში, სადაც დიდხანს უმინებდნენ შეტაკებანი ხდებოდა, გერმანელები გაძლიერდნენ და ისევ მოაწვეს რუსის ჯარს.

სოფელი ვნახე უკალმ, უიგ გავიარე უკოხომ!

ვინ არ იცის, რომ საქართველო უძალიანო ქვეყანაა. უთოფოდ და უომარად გვეცლება ათას წლების განმავლობაში.

მ. ე. ლალიძე და კახ. თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

თბილისის ნოვარიაუსი

ბ. ლ. ვაჭაპარიანი... სსსის კონტორას 27-ს ამ აგვისტოს ერეკვის მოედანზე № 3, ვაჭარების ბანკის შენობაში.

დ ე კ ე უ ე გ ი... თბილისი, 18 აგვ. ოფიციალი. 16 აგვისტოს რუსისა და ოსმალთა მჯგვრავების შეჯახების მეტი არსებითი ცვლილება არა მომხდარა რა.

ბირველხარისხოვანი სასაღილო „კ ა ფ ე ბ ო რ დ ო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

პეტროპოლში, 18 აგვისტო. ოფიციალი. რიგის ყურეში დამით 17 აგვისტოს, გერმანელები იერიშით წამოვიდნენ რკინის გზის გადასაჭრელად გროს-ეკაუ-ნიეგუტის ჩრდილოეთით.

ლოკატორი მადიტიანსა... კალანდარიშვილი... უფროსი ექიმი ტფ. კალატა კორპუსისა.

გაღწერას სწავრა... საზოგადოებრივი და საწარმ განკანაზი... მუშაობის სწავლება.

პურნალ-გაერთიანდ... აჯანყება სიძვირის გამო. „ურტ. რ.“ გადმოგვიცემს, რომ ხიტროვოში არეულობის დროს ბრბო ბაზარზე გაიჭრა და ყვირილით „დაპკათ პოლიციას“ მოჰყვა ქვის ყუმბარების დაშენს.

შეუძლებელია გულის უტკივილად გადაიკითხოს კაცმა ჩვენი გაზეთის მე-70 №-ში მოთავსებული წერილი ბ-ნი ი. ოქროაშვილისა: „მამული გველუპება“.

ქიზიყის ეხლანდელ ვითარებას და ასეთ ამოწმობებზე ამბავს იწყებდა:

ვიღაც ლიანოზოვს, იჯარით აული მთელი შირაქი, რომლის საიჯარო ფული მილიონზე მეტი უკვე შეუტანია ხაზინაში.

ამ მომდგარმა უბედურებამ მხოლოდ ადგილობრივი პირები ააზმურა:

ამის გამო სილნადის მომრიგებელმა შუაშავალმა დაიბარა მთელი ქიზიყის მამასახლისები და გააგებინა კარზედ მომდგარი უბედურება, რომ ილიონი რამე მის თავიდან ასაცილებლათ.

ქიზიყის მამასახლისების და არჩეული ხალხის ყრილობა გამართა ამავე საქმეზედ თავადმა მალხაზი ანდრონიკაშვილმა, რომელმაც ამავე კრებიდანვე დეპუტატი სთხოვა მეფის მოადგილეს ამ საქმის შეჩერება.

ვიღაც ამ საქმეს მხოლოდ ლოკალური ყურადღება ექნება მიქცეული და არა მთელი შეგნებული საქართველოსი, ვიღაც მთელი ერის შეგნება თავგამოდებით არ გამოეკემა.

ს. კ. ღია.

ჩვენ და ისინი

როდესაც განსვენებული იაკობ გოგებაშვილი ამ ხუთიოდე წლის წინად შეეხო თბილისის მცხოვრებთა რადიკალიზმს, ოფიციალურ სტატისტიკურ ცნობებს არ დაუჯერა, აქ რაღაც თაღლითობააო, ყალბად გამოაცხადა იგი და შეეცადა წინააღმდეგი დემტყეობისა, ვითომც კარბელობა რიცხვით თუ სხვა ერებს თანასწორი არა, ყოველ შემთხვევაში ასე ნაყლები არ იქნება. მაგრამ მისი გულის წყრომა უბრალო სენტიმენტალიზმისა და კეთილშობილური გრძობით იყო გამოწვეული, თორემ სინამდვილეში, მართლაც, ეს სამწუხარო ფაქტი გახლდათ, რამაც შემდეგში უფრო თამამი კილოთი დაიწყო ლადი. დღეს, მაგალითად, ეს ამბავი აღარავის გვეუცხოვება. დავაც იზვიათად თუ ვინმე ასტეხოს ამ უცილობელ მოვლენის გარშემო. დასტურდი დაკეშულია. ესლა მხოლოდ საშუალებების გამოძებნაში ვართ, თუ როგორ და რანაირად მოვიქცეთ, რა ვიღონოთ, რომ საქართველოს დედაქალაქი კვლავ ქართველთა სიცოცხლის ცენტრი იყოს, როგორც მთელი საქართველოს გამაერთებელი ბარომეტრი. სამწუხაროდ უკრანალ-გაზეთებში უფრო გულბრწყვლი თეორიებმა იჩინეს თავი, თუნდა, ვთქვათ, ისეცა პალატიურმა წინადადებამ, როგორც ეს, თუ არა ვცდებო, ქუთათურ გაზეთ „კოლხიდისა“ თუ „იმერეთის“ ფურცლებზე გვამცნეს.

„ჩვენს ჩვენს მხრით ვეცადნოთ თბილისში ჩვენი ტომები ჩავსახლოთ, ვურჩიოთ, უმიწაყლო იმერლობა ვადმოხსნად“ და სხვა. მაგრამ, მოგესხენებათ, რჩევით ასეთი რთული ესაოთრ ოპერაცია არა ჰხდება. გადასახლებულ-გადმოსახლებულ პრაცესი ნებსით თუ იძულებით მაშინ არის სწორი, თუ წელი მოგვედეს, რომ აყრილთ ეუპატრონოთ, სათანადო საშუალება მიეცეთ სასურ-

ველ წინადაცხე ფეხის მოსაკიდებლად, თორემ მარტო ერთი რჩევით რომ არა გამოვა რა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ თბილისში დღემდე იმ კამათის შემდეგ თუ ვეომეტრიულად იწყო ზრდა სომეხ მცხოვრებით, ქართველებსა ართმეტრულად არ გაზრდილა, თითქმის ისეთივეა, როგორც ი. გოგებაშვილის გამოლაშქრების დროს. რად ჰხდება ასე? იმიტომ, რომ რეალ და კონკრეტად აღძრულ საკითხებს ჩვენ მხოლოდ თეორიებით და კეთილი სურვილებით ვაძლევეთ პასუხს, ან უბრალო სენტიმენტალიზმით. ნამდვილი საქმიანობა კი არსად ჩანს, აი, ვთქვათ, თუნდა ისეთი ჩუმი და მეთოდური მუშაობა, როგორსაც ვხედავთ სომხებში. მათ ვაკეთებულ საქმეს მაშინ თუ დავინახავთ ხოლმე, როდესაც თვით ქვევიც კი ლაღდასა ჰყოფენ. მანამდინ ვინ რას აკეთებს, როგორ, სად, ეს არავინ იცის. ჩვენებურ ბუნდოვან თეორიებსა და ყვირილის ადგილას მათ საქმე აქყო წამოყენებულია. აი, ამ მხრივ განსხვავდებით ჩვენ და ისინი თბილისის

სამმართველო ნამდვილ მათ ეროვნულ ტრიბუნად ვარდაიქცა, თუ გნებავთ, პარლამენტად.

წაიკლავი პარკიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან) წერილი 3.

დამონებულ ეროვნებათა მომავალი. ამ სამს წელს წინად პარიზში დაარსდა საზოგადოება, რომელმაც აზრად დაიხსება: გამოარკვიოს კითხვა სხვა და სხვა დამონებულ ეროვნებათა შესახებ და გამონახოს საუკეთესო ფორმა, რომელშიაც ამა-თუ-იმ ეროვნების მომავალი ცხოვრება უნდა მოეწყოს ისე, რომ ყოველ ერს როგორც ეკონომიურად ისე სულიერად თავისუფლად შეეძლოს განვითარება. ამ განვიარებას არაფერი ებრძობებოდეს წინ. ფრანგულად ამ საზოგადოებას ჰქვიათ Office des Nationalites. ერთი სხვაობა ამ საზოგადოების ამ თვზში მოხდა პარიზში. დაესწრნენ წარმომადგენელნი: ბელგიისა, ჩეხიისა, პოლონეთისა, ელზას-ლორენისა, ირლანდიისა, ფინლიანდიისა და სხ.

კონფერანსი გახსნა ინსტიტუტის წევრმა ბ.ნ. ბენედიქტე. თვის სიტყვაში ორატორმა დასწრეთ მოკლედ მოაგონა დანიშნულება ამ საზოგადოებისა. იმ აზრით დაარსდა ხსენებული საზოგადოება, რომ თანამშრომლობა გაუწიოს ევროპის პოლიტიკას, წინადაცხედ, სამართლიან და თან მდებარე პოლიტიკას, რომელშიც უნდა გადსწყვიტოს ყოველი კითხვა, რომელსაც დამონებულ ერთა მდგომარეობა მთელს განათლებულ კაცობრიობას წინ უყენებს. დაარსების დღიდანვე ეს საზოგადოება ცდილობს გამოიკვლიოს გააშუქოს ესა თუ ის კითხვა დამონებულ ეროვნებათა შესახებ და ყოველს მათგანს გამოუჩინოს გაჭირვებიდან გამოსასვლელი გზა.

წარსულ წლის მარტომთვიდან იღვრება აუარებელი სისხლი, ურიცხვი სახლკარი აფორიაქდა, ყოველივე იმედს გვიწერავს, რომ ამ ომს უნდა შექველდ მოჰყვეს სწორწინობა, სწორწინობა მტკიცე და სამართლიანი. გულს იმედი გვგსნება, რომ აღარც ევროპას და აღარც ოსმალეთში არ უნდა დასრული ისეთი კუთხე, სავა ესა თუ ის ერთ იძულებული იქნეს კვლავ იკვნესოს. საფრანგეთიდან ვაისმის ეს ხმა იმედისა, საფრანგეთსა აქვს უფლება ამ იმედიანს ხმით დაუძახოს ყველას, საფრანგეთმა უნდა მოსწმინდოს ყველას ცრემლი, იმ საფრანგეთმა, რომელიც მთელის ქვეყნების კეთილდღეობისათვის იბრძვის და რომლის ყოველი მოქალაქე გულში ხატად ატარებს წინაპართა წმიად ანდერძს: ან გამარჯვება ან სიკვდილი.

ბენედიქტე შემდეგ ილაპარაკა სობობის პროფესორმა სენიბოსმა. ცნობილმა პროფესორმა განიხილა ის რთული კითხვები, რომელიც გადასაწყვეტი იქნება კონგრესს, საეროაზო შვილობიანობის პირობების განსახილველად მოწვეულს. ხოლო სენიბოსის სიტყვის შემდეგ დამონებულ ეროვნებათა წარმომადგენლებმა მოკლედ გააცნეს დამსწრეთ დავიანთის პალხის მდგომარეობა. ბ.ნ. ბენედიქტე კონფერანსის გათავე-

ლიდი ბჭობა აღარა გვეპირია გამოვიცინოთ, რომ ანდრონიკაშვილის ხმა უდაბნოში მოლაღებელის ხმად დარჩება. მაგრამ ეს კი არ არის საკვირველი, თუ მისი ხმა არ იქნება შესმენილი, შეწყნარებული, არამედ ის, თუ სადა ვართ, ან რას ვაკეთებთ, როდესაც ლიანოზოვები ასეთ ხრიკებით გვართმევენ და უფლებათაში შედიან ჩვენს პრავიციების დასაპატრონებლად. კორესპონდენტისავე სიტყვით ბ.ნ. ლიანოზოვის ისეთი მაგარად ჩაუბღუჯია ხელი შირაქისათვის, რომ მისი დაბრუნება ახლა არც ისე ადვილი საქმეა.

ცხოვრების ლოლიკა მხოლოდ გარჯილთა მხარეზეა. წვენ კი ოცნებასა და თეორიებში ვატარებთ დროს. ვზრუნავთ ქვეყნისთვის, დიდი რუსეთის ხსენისათვის, ბურჯვეთა გასანთავისუფლებლად, საქართველოზე ხმის ამოღება კი რაინდულ სიტყვის „სტილის დარღვევა“ გვგონია. ჩვენს ჩვენს თავს აღარ ვეკუთვნივით... ქვეყანა უპატრონოდ რჩება... მაშ რაღა გასაკვირველი იქნება, თუ ჩვენს სანტიმენტალურ წრეშინს მოსაქმენი ყურს არ ათხოვებენ და სისტემატიურად სამთავროს-სამთავროზე გამოგვაცლიან?

მაშ რაღად უნდა გაიკვიროთ, თუ მკვიდრი ერი, ტერიტორიის მექონე, ებრძვებად გარდაცემული, ხოლო გამარჯვდა გამპირახმა თუნდა უმიწაყლო ელემენტებმა საბოლოოდ შეიძინონ ტერიტორია და წინადაგი მოუშალონ თვანი თ მომავალს?

დ. კასრაძე.

წაიკლავი პარკიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან) წერილი 3.

დამონებულ ეროვნებათა მომავალი. ამ სამს წელს წინად პარიზში დაარსდა საზოგადოება, რომელმაც აზრად დაიხსება: გამოარკვიოს კითხვა სხვა და სხვა დამონებულ ეროვნებათა შესახებ და გამონახოს საუკეთესო ფორმა, რომელშიაც ამა-თუ-იმ ეროვნების მომავალი ცხოვრება უნდა მოეწყოს ისე, რომ ყოველ ერს როგორც ეკონომიურად ისე სულიერად თავისუფლად შეეძლოს განვითარება. ამ განვიარებას არაფერი ებრძობებოდეს წინ. ფრანგულად ამ საზოგადოებას ჰქვიათ Office des Nationalites. ერთი სხვაობა ამ საზოგადოების ამ თვზში მოხდა პარიზში. დაესწრნენ წარმომადგენელნი: ბელგიისა, ჩეხიისა, პოლონეთისა, ელზას-ლორენისა, ირლანდიისა, ფინლიანდიისა და სხ.

კონფერანსი გახსნა ინსტიტუტის წევრმა ბ.ნ. ბენედიქტე. თვის სიტყვაში ორატორმა დასწრეთ მოკლედ მოაგონა დანიშნულება ამ საზოგადოებისა. იმ აზრით დაარსდა ხსენებული საზოგადოება, რომ თანამშრომლობა გაუწიოს ევროპის პოლიტიკას, წინადაცხედ, სამართლიან და თან მდებარე პოლიტიკას, რომელშიც უნდა გადსწყვიტოს ყოველი კითხვა, რომელსაც დამონებულ ერთა მდგომარეობა მთელს განათლებულ კაცობრიობას წინ უყენებს. დაარსების დღიდანვე ეს საზოგადოება ცდილობს გამოიკვლიოს გააშუქოს ესა თუ ის კითხვა დამონებულ ეროვნებათა შესახებ და ყოველს მათგანს გამოუჩინოს გაჭირვებიდან გამოსასვლელი გზა.

წარსულ წლის მარტომთვიდან იღვრება აუარებელი სისხლი, ურიცხვი სახლკარი აფორიაქდა, ყოველივე იმედს გვიწერავს, რომ ამ ომს უნდა შექველდ მოჰყვეს სწორწინობა, სწორწინობა მტკიცე და სამართლიანი. გულს იმედი გვგსნება, რომ აღარც ევროპას და აღარც ოსმალეთში არ უნდა დასრული ისეთი კუთხე, სავა ესა თუ ის ერთ იძულებული იქნეს კვლავ იკვნესოს. საფრანგეთიდან ვაისმის ეს ხმა იმედისა, საფრანგეთსა აქვს უფლება ამ იმედიანს ხმით დაუძახოს ყველას, საფრანგეთმა უნდა მოსწმინდოს ყველას ცრემლი, იმ საფრანგეთმა, რომელიც მთელის ქვეყნების კეთილდღეობისათვის იბრძვის და რომლის ყოველი მოქალაქე გულში ხატად ატარებს წინაპართა წმიად ანდერძს: ან გამარჯვება ან სიკვდილი.

ბენედიქტე შემდეგ ილაპარაკა სობობის პროფესორმა სენიბოსმა. ცნობილმა პროფესორმა განიხილა ის რთული კითხვები, რომელიც გადასაწყვეტი იქნება კონგრესს, საეროაზო შვილობიანობის პირობების განსახილველად მოწვეულს. ხოლო სენიბოსის სიტყვის შემდეგ დამონებულ ეროვნებათა წარმომადგენლებმა მოკლედ გააცნეს დამსწრეთ დავიანთის პალხის მდგომარეობა. ბ.ნ. ბენედიქტე კონფერანსის გათავე-

ბისას გამოსტყვა სურვილი, რომ დამონებულ ეროვნებათა შემდეგ კრების მოწვევამდე ყოველგვარი უსამართლობანი, რომელთა მსხვერპლიც ამ უამათ ეს ეროვნებანი არიან, მოსობოლიყვენ, და რომ ამ ომის შემდეგ, რომელშიაც მოკავშირენი მათის სურვილის წინააღმდეგ ჩაებნენ უფლებიანობის და სამართლიანობის სახელით, აღირებულ ყოფილიყვენ უფლებანი ყველა ეროვნებათა.

დასასრულ, კრებამ შემდეგი რეზოლუციცა გამოიტანა:

კრება გამოსტყვამს სურვილს, რომ მთავრობათა აღიარონ, რომ აუცილებელი პირობა მშვიდობიანობის დღეგრძეობისა არის პატივისცემა ეროვნებათა და რომ ამ მთავრობათ ევროპის მომავალ ბედის მოწესრიგებაში სახელმძღვანელოდ გაიხადონ შემდეგი პრინციპები:

1) განსაზღვრა ყოველის ერის მიწაწყლისა დამოკიდებულ უნდა იყოს, ყოველი უწინარეს, მით ამ მიწაწყლის მკვიდრთა სურვილსა და მისწრაფებაზე. სათვალავში ჩასაგდები არ უნდა იქნენ ისტორიული მოგონებანი ძველის ბატონობისა, აღარც ვერცხვადებულნი ბუნებრივი საზღვარნი, მით უფრო ნაკლებ მისატანი უნდა იყვენ სისხლი, ამა თუ იმ ტერიტორიაზე დაღვილი, რადგან სამივე ეს ფორმა მოგვავიანებს ხოლმე ბარბაროსულ უფლებას დაპყრობისას.

2) იქ, საცა საეკონომიო მოსაზრებები ესა აუი მთავრობა იძულებულია დაეუფლოს ერთ ნაწილს სხვა ეროვნებით დასახლებულ მიწაწყლისას, საერთაშორისო პირობის ძალით ხელშეუხებელი უნდა იქნეს ან ავტონომია ამ ერისა ან თავისუფლება მისის ვნისა, სარწმუნოებისა და ზნეჩვეულებათა.

3) ნეიტრალ ქვეყნებს მათი დამოუკიდებლობა უნდა უთავდებონ არა მარტო რამდენიმე სახელმწიფომ, არამედ ყველა სახელმწიფომ, რომელიც კი აუცილებელ საქმედ მიანიათ საერთაშორისო უფლება წინადაც დაკულ და ხელუხლებელ იქმნეს.

4) იმავე საერთაშორისო თავდებობის ქვეშ უნდა იქმნეს საზღვაო გასასვლელელები და პორტები (ტანკერი, სტამბოლი, როელთა დაპატრონება ერთის რომელსამე სახელმწიფოს მიერ საწმიოდ უნდა იქმნის ათიარბული.

დიდი იმედების აღმებრელი იყო ეს კრება და ეს საზოგადოება. დიდი იყო აღფრთოვანება როგორც ამ საზოგადოების სულის ჩამდგმელთა, ისე სათითაოთ ყველასი

მაგრამ აწინდელმა ომმა ბევრი სურპრიზი შეგვცდნა! დაგვანახვა ისა, რომ თანამედროვე ადამიანი წინასართა მდგომარეობას ბევრით არ დაშორებია. დაგვანახა ამ ომმა, რომ ადამიანს ისე არ შეუძლია მოისვენოს, თუ წინადაც სხვას არა სჩავრავს, სხვას არ იმონებს, სხვის უბედურებაზე თვის ბედ-

ნიერების სხლის კლდეები არ აწყავს. დაგვჩაქვიქვიქა, რომ ამავე ადამიანთა კრებულნი რომელიც მთავრობა უდასთავშნა და მისნი კარნახით ადგამს ყოველს ნაბიჯს, ისე ადვილთ არ შეელოვა უფლებას სხვაზე გაბატონებისას, ძალმომროებისას, სუსტის ჩავერისას. თანამედროვე ომმა ისიც ნათლად დაგვანახა, რომ შემდეგი კანონი უცვლელად რჩება დასაბამიდან დღემდე: ღონეს—ღონე უნდა ჩაუდგეს კრიჭაში, და მტერი მაშინლა გვემს პატივს, როცა შენც ღონიერი ხარ, მის მიერ მოღერებულ ხელს შენს ღონიერ მკლავს უფარებ. ქართულ ანდაზას: „საცა ძალა შევა, სამართალი წინააღმდეგ“ დღემდე არამც თუ დამკარკარა მნიშვნელობა, არამედ უფრო ცხად და გამოჩინებულ იქმნა კაცობრიობის თანამედროვე ურთიერთობაში.

მართალია, ყოველს ერს, როგორც კერძო ადამიანს, უფლება აქვს ცხოვრებისა. განა ეს უფლება ლიტონი სიტყვაა, თუ ზურგს უკან ძალა არ უდგას. არ დაგვაიწყდეს ქართულივე ანდაზა: „მომხდეს და მხედური უნდაო“. როცა საერთო უფლებიანობის კერძო დამონებულ ეროვნებათა უფლებიანობის შესახებ ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, სულ ყურში მიდგას ამერიკის შტატების ნაპრეზიდენტის ბ.ნ. რუზველტის სიტყვები, სან-ფრანცისკის გამოფენაზე წარმოთქმული, იმის შესახებ, თუ რა მოვალეობა აწევს ამერიკას და რადენით საქირია მისთვის საომრით მზადყოფნა. რუზველტის აზრით, ჩინეთი შესანიშნავს მაგალითს წარმოადგენს ისეთი ქვეყნისა, რომელმაც ომი ვერ მოახერხა რადგან შეუიარაღებელი და საომრით მოუშადაბელი იყო.

ასეთივე მოუშადაბელობის წყალობით იყო, რომ ბელგია ისე ადვილთ გააქვლვინა გერმანიის. მართალია, ბელგიის ზვიდრმა ყველას დასწვა გული, მაგრამ თუ ამერიკაც არ შეუდგა მზადებას, მტრის მსხვერპლი გახდება და არამც თუ გული დაეწვის ვისმე მისთვის, პირიქით ყაბა-ასაღება და ყველასი დასაცინი გადადებოდა. „ამერიკამ თვისნი უფლებანი თვისის ძალით უნდა დაცვასო“ (to defend its own rights with its own strength).

ბელგიასთვის, გაავის ხელმეგრულობის ძალით, ხელი არავის უნდა ეხლო, და იმასაც იმედი ჰქონდა, თუ ვინიცობა, ვინმე შემოესია ჩემს მიწაწყალს, მთელი ქვეყნიერება და მისთან ამერიკაც გამოემქიამება. ის რომ შევიკარის მსავსათ ყოფილიყო საომრით მომზადებული, გერმანიეთი ასე ადვილთ ვერ გაჰხედავდა დაერვია ხელმეგრულობანი. ბელგიის ბედი ამერიკისათვის ვაკვეთილად უნდა დარჩეს, სთქვა თურმე რუზველტმა.

და ბელგიის ბედი მოელს, დაეუმეტებთ ჩვენ, ყველას, ვინც თავის მომავალს თვის მომზადებულობაზე, თვის ღონეზე არ ამყარებს, სუსტის და მოუშადაბელის გაკითხვა თანამედროვე ცხოვრებას არ უწერია.

თ. სახოკია.

პარიზი, 29 (16) მაკათვე

სახელგაზეფო სათათხირო

(პეტროგრადის დეპუტათა საავტოტოსავან)

12 ავგ. კომისიამ აღძრა საკითხი მთავრობის უკანონო მოქმედების შესახებ ებრაელთა წინაშე სამხედრო მოქმედების რაიონებში. მომსენებელი პ. ა. საფონოვი მიეშრო საკითხის ვადადებას. იგი ამტკიცებდა, რომ ომის დროს სამხედრო მთავრობას უსაზღვრო უფლებანი ეძლევათ. მათ შეუძლიათ ისეთი ზომებისა კი მიმშართონ, რაც თვით კანონმდებლობასაც კი არ წარმოედგინოს...

ჩემიქმ განაცხადა, რომ სამხედრო დებულებათა ასეთი ფართო განმარტება თანასწორია იმისა, რომ მთელს რუსეთში საზოგადოდ გაუქმებულ იქმნეს წესიერება. არ შეიძლება ყოველი ზომა გაგამართლოთ სამხედრო ინტერესებით ჩვენ გვალელებს ჰინდენბურგის ზომები, როდესაც მომზადულ ბოლით ახრჩობს ჩვენი მეომრები, მაგრამ ისიც ხომ ამ „სამხედრო ინტერესებით“ სჩადის ყველა ამას. ჩვენ ასეთი ზომები უკანონოდ და არა-ადამიანურად მიგვანჩია, როგორც ჰინდენბურგის ზომების თანასწორი დამსაზღვრელი. ამიტომ კომისიამ უნდა დაეკავოს ის ზომები, რაც კი ეწინააღმდეგება მორალის პრინციპებს, კანონს და

რომელიც ებრაელთა წინააღმდეგ მოუხმარნათ. ჩვენკელი უთითებდა, რომ თუ 33 მუხლი სახ. სათათბიროსი მართლა სათათბიროსე მოუსპობს საშუალებას მთავრობას წარუდგინოს შეკითხვა სამხედრო მთავრობის მოქმედების შესახებ, მაშინ ეს იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ სათათბირო მხარს უჭერს სამხედრო მთავრობას განამტკიცონ თავიანთი უკანონო, ჯერ არსად გაგონილი და არა-ადამიანური მოქმედება. ს. დ. სწორად ეს პოლიტიკური მხარე აინტერესებო...

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ალექსანდროვის სიტყვამ. მან მიუთითა იმაზე, რომ ლაშქრის მესვეური მართლა არ ექვემდებარებიან სენატს. მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ ლაშქრის მესვეურებზე. გენერალ-გუბერნატორები კი, როგორც ვიცით, განაგებენ არა მარტო სამხედრო მმართველობას, არამედ სამოქალაქოსაც. პრაქტიკამ უკვე იცის კეთილ შეზღვევანი, როდესაც სენატის უფლის თვის მოქმედების განხილვაში. ამ ახლოწარსულში ბალტიის მხრი-

საქართველო წლის დამლევამდე ლის 4 მ.; 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ.; ერთის თვით—90 კ. ფოსტის აღწერა: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. უოსტის ყუთი 76.

სკენ. გუბერნატორი პ. გ. კოვრელოვი განათავისუფლებულ იქნა სამოქალაქო თანამდებობისაგან და მარტო ერთ სამხედრო თანამდებობას ასრულებდა. მეორე მხრით შინაგან საშვიტო მინისტრმა ნ. ბ. შერბატკოვმა უბრძანა შეეჩერებინათ ეკატერინესლავის ქარხნებში გამოქვეყნებული, ებრაელები, მიუხედავად იმისა, რომ ოდესის გენ. გუბერნატორი ბრძანებდა მათს გამოორკვას და გადასახლებას. მაშასადამე, სამოქალაქო საქმეში გენ. გუბერნატორები ექვემდებარებიან შინაგან საქმეთა მინისტრს როგორც უბრალო გუბერნატორები. დიდი ხანი არ არის, რაც აღვიარეთ პრინციპი რუსეთის ყველა ერის თანასწორობისა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მხოლოდ ამ პრინციპით შეიძლებოდა ამ მიმხედ და განსაცდელი-სადმი ყველა ერთი გადავდებულყოფიერად ერთის ერთობით, განურჩევლად გვარტომობისა, ენისა და სარწმუნოებისა, რათა დაგვეცვა რუსეთის პატივი, სახელი, მისი დიდება. ჩვენ ვიცით ჩვენი დამარცხების ნამდვილი მიზეზები, მწარე სინამდვილემ იჩინა თავი. ის რაც შეგვესმა ლაშქრის მოუმზადებლობაზე, იარაღის უქონლობაზე, უნდა დავივლით სახელმწიფოს შინაგანი ღებორგანისაკენ, შემოღებულ ზომების მიერ რუსეთის დაყოფა და ერთი ერის და ტომის ამხედრება და ათავისუფლება მეორეზე. ამ დაქაქვის და უწყისობის წყალობით თვით ჩვენვე ვაუტყუარებდით მარჯვენა ხელი. ჩვენ ებრაელთათვის კი არ უნდა ვფიქრობდით, არამედ რუსეთის სახელისთვის, მისი გულისთვის უნდა დავგმობთ ეს საზარელი და შემადრწუნებელი ბრალდებანი ებრაელთა შესახებ — უნდა მოისპოს ეს საშინელი მოვლენა ერთ-ერთმანეთზე გადაკიდებისა...

კომისია შემდეგ არსებითად თვით საკითხებს შეეხო.

საკითხის პირველი პუნქტი ეხება მცხოვრებთა სრულს გადასახლებას სამხედრო მოქმედების რაიონებიდან. ეს ვადმოსახლება მხედება მეტად შემადრწუნებელს პირობებში. მცხოვრებთ ვადადა სულ რაღაც ორიოდ საათს აძლევდნენ. აპყრიდნენ ერთხად, საქონლის ვაგონებში შეპრეკავდნენ ბავშვებით, ავადმყოფებით თუ მოხუცებულებით და ვასანადგურებდა ატოვებინებდნენ მივლის საქონელს და მამულ-დედულს. ამ პუნქტის განხილვის შემდეგ კომისიამ სცნო, რომ მართალია სამხედრო მთავრობის განკარგულებანი არ შეიძლება შეკითხვის საგნად გახადოდა სათათბიროშიო, მაგრამ ასეთი შემადრწუნებელი ვადმოსახლება, თქმა არ უნდა, უსამართლოა და უკანონო.

მეორე პუნქტი ეხება გამოქვეყნებულ ამბავს, ვითომც კუფამში რაღაც და გამცემლობა ყოფილიყო, რაიც შემოწმების შემდეგ, როგორც ვაგონების მიერ იძულებით გამოქვეყნებული, კამისიამ სცნო, რომ ასეთი იძულება ყურანალ-ვაგონებისა, რათა ოციცილ ცნობად გამოქვეყნებინათ კუფამი ვაგონებულულები ხმები, ბორბლები და უქვეყნო უკანონობა.

მესამე პუნქტი ეხება მძევლებს, რომელიც წამოყვანეს ვაგონებიდან და ფრიალ საპატიო ებრაელთა ოჯახებიდან. ასეთი მოქმედების წინააღმდეგ ვაგონებში კარგუბენი იგი ამტკიცებდა, რომ რუსეთის საკანონმდებლოში ასეთ ინსტიტუტის შესახებ ხსენებაც არც კი მოიხსენიებოდა. სამთავრო პუნქტი მიღებულ იქნა კამისიის მიერ.

18 აგვისტოს სხდომაში. ჯერ თავმჯდომარეობს როდიანკო, შემდეგ ვარუნ-სერკოვი. შემოსულ საქმეთა შორის აღსანიშნავია სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობის აღმასრულებლის განცხადება რომ მას დაუბრუნდეს კანონ-პროექტის სამართლებრივად მრევლის წესდების პროექტის დამტკიცების შესახებ. იხილავენ საკითხს იმ პირთა მდგომარეობის შესახებ, რომლებიც პოლონეთის სამეფოს სხვა და სხვა ადგილის დაუპატივისცემლობა და იმპერიის სხვა და სხვა სატულალოში ჩაუსვამთ.

გარუსებვის მოკავს რამოდენიმე მაგალითი იმის საილუსტრაციით, თუ როგორ სწარმოებდა დაპატიმრება მაგალითად ვარშავაში. კერძო პოლიურ სკოლის 22 მოწავე 25 აპრილს ქალაქ ვარშავის სასაბურთო დასახლებაში დასახლდნენ. ისინი დაპატიმრეს და მერე ვარშავის პოლიციის ვერა იპოვინეს-რა. ჯერ ვილინო ვაგონებზე, ხელა კიდევ — ბარკისა საპატიმროში ხელად. 1914 წლის ოქტომბრის თვეში, ერთ-ერთ სასტუმროს ვაგონებ ვარშავაში ვაგადო თავისი შევიცარი მონათ-

სული ებრაელი, ჯარისკაცებისთვის არა-ყოლა და ღვინოს მიყიდვის გულისთვის. ეს შევიცარი თურმე დამცველი განყოფილების აგენტი ყოფილა. მეორე დღეს დაიჭირეს სასტუმროს ვაგონები, და დაუპირეს ტომისკის გუბერნიაში გადასახლება, მაგრამ სამხედრო უწყების ჩარევის წყალობით, გადასახლება შეაჩერეს. მაშინ დამცველმა განყოფილებამ ეს ვაგონები ტროიკაში გადაგზავნა, სადაც დღემდე ციხეში ზის. იმავე სასტუმროში მსახურებდა აგრეთვე ერთი გერმანელი, რომელიც დამცველი განყოფილების აგენტი იყო. და რომელიც სასტუმროში კელ-ნებრის ვაგონებში მოაწყო ამ გერმანელს დამუქრის სასტუმროს უფროსი სამსახურიდან გაძევებით. ამ ვგარი დამუქრებისათვის სასტუმროს თითქმის მთელი აღმინისტრაცია დაპატიმრეს და პეტროგრადის ციხეებში დაგზავნეს. ორატორი გამოთქვამს სურვილს რომ ყველა ამ წესით დაპატიმრებული განთავისუფლებულ იქნას და დაინიშნოს ვამოცილება ვარშავის დამცველი განყოფილების მოქმედების შესახებ. (ტაში მარცხნიდან და ცენტრში).

როდიანკომა განაცხადა მთავრობამ პოლონეთს ავტონომია დაპირდა, ხოლო მისი მოქმედება არ შეესაბამება მიცემულ ალტქმას. ამგვარი მოქმედება არ შეიძლება სასურველად ჩაითვალოს. ორატორი გამოსთქვამს სურვილს მთავრობა გარკვეულად დაადგეს ხალხთა შემოკრებისა და შედუღების გზას ან განზე გადასვას.

გრაფი შინგაროვი უერთდება გარუსევიჩის სურვილს და თავის მხრით გამოთქვამს კიდევ მესამე სურვილს: გაუქმდეს ყველა საქმე რომელიც შეეხება მაგალითად პოლიურ ვაგონების ავსტრო-ფილბას. სახელმწიფო სათათბირომ ერთხმად მიიღო „წინადადება და შეუღდა იმ საკითხის გამოკრებას თუ რა ღონისძიებას მიმართავს მთავრობა დაპოკრობილქვეყნებიდან გადმოხვეწილ მუშათა და მათი ოჯახების მდგომარეობის ვასაუმჯობესებლად.

ჩხვიძე ამტკიცებს, მრევლები სარგებლობენ დიდძალ მუშა ხელის ჩამოსვლით დატოვებულ ადგილებიდან და ისედაც მცირე ხელფასს ვაგონებ კიდევ უფრო ამცირებენ. სათათბირომ ერთხმად მიიღო საკითხი. მიღებულ კანონპროექტი იმის შესახებ რომ სახელმწიფო საკრედიტო ბილეტების გარეშე, რომელიც დაწესებულია მოქმედ კანონების ძალით. მორიგე საკითხად წამოყენებულია კანონპროექტი, რათა სახელმწიფო ბანკს უფლება მიენიჭოს სახელმწიფო საკრედიტო ბილეტების გამოცემისა.

მომხსენებელია შინგაროვი, რომელიც ამბობს, ომის დაწყებიდან ყველა სახელმწიფომ, ინგლისის გარდა, შესწევითა საკრედიტო ბილეტების გადახრდაცვალითონის ფულადი, და შემდეგ იმისათვის უფლება მისცა ახალ საკრედიტო ბილეტების გამოცემისა. ფინანსთა მინისტრის ვარაუდით, 1915 წლისთვის სამხედრო საკრედიტოსთვის უნდა გადადებულ იქნას 7 მილიარდი და 242 მილიონი მანეთი, ხოლო ჩვეულებრივ და განსაკუთრებულ ხარჯთაღრიცხვით საკრედიტო 2 მილიარდი და 847 მილიონი მანეთი, სულერთიანად 10 მილიარდი მან. საკრედიტო ოპერაციებიდან 1915 წლის პირველ იანვრიდან გადადებლობა 4 მილიარდი 181 მილიონი. ჩვეულებრივ შემოსავლიდან კიდევ უნდა შემოვიდეს ორი მილიარდი 796 მილიონი. კიდევ უნდა განაღდდეს 3 მილიარდი 200 მილიონი მანეთის საკრედიტო ოპერაცია. სამინისტროს ანგარიშით ჩვეულებრივ შემოსავლიდან წელს 336 მილიონით ნაკლები შემოვა. ომის გამოცხადების შემდეგ შეხვდა იმ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ღონისძიებას, რომელიც გამოთქვა არაყის გაყიდვის აღკრძალვაში, რომელმაც სახელმწიფოს 880 მანეთის ზარალი მიაციენა. შინგაროვი ითვალისწინებს, თუ რა გზით შეიძლება შემოსავლის ამ ნაკლის შესწავლა. არაყის გაყიდვის გაუქმება იმ დიდი მოდელი მიღობი ცხოვრებაში და სათათბირო მხარს დაუჭერს სამუდამოთ არაყის ვაჭრობის მოსპობას (მოწონება). მაგრამ ამავე დროს სათათბირო მოვლავა აღმოაჩინოს წყარო სახელმწიფოს შემოსავლის ნაკლის შესასწავლად... დიდძალი გუქსილი ვააყენა მინა რუსეთის სახელმწიფოს ამ საშე-

ნელმა ომმა. სახელმწიფომ უკვე ვასცა ექვსი მილიარდზე მეტი ვეჭსილი. ომის გათავებამდე კიდევ დიდი სესხის აღება დასჭირდება. საქმთა სიმდიდრე და ძალა მოეპოვება რუსეთს, რომ თავის მეფაის წინაშე პირნათლად გამოვიდეს. დღემდე რუსეთს ყოველთვის თავის დროზე გადაუხდია აღებული ვალის სარგებელი, ამიერიდან გადასახლები სარგებელის ჯამი მრავალქვეც გაიზრდება და საჭიროა რუსეთის ფინანსური სისტემა ამას შეგულო. ამასთან ერთად ძალაუფლებურად გადასახლები უნდა ვავადილოთ. თუ სახელმწიფო სასტიკი მტრის მოსაგერებლად თავის სახელგონ მემორებისაგან სიცოცხლის ვანწირავს მოითხოვს, მას უფლება აქვს ჯარის ზურგს უკან მყოფ მშვიდობიან მოქალაქეთაგან ქვის ვასხნა მოითხოვოს და ეს ქისა მთავრობის განკარგულებაში უნდა ვადვიდეს. ხოლო რაღაც მარტო გადასახლები დღეს-დღეობით საქმთა თანხას ვერ მოგვეცემს, ამიტომ შინგაროვი მოქალაქეთაგან ქვის ვანანსთა მინისტრს ვანზარხელი აქვს ვამოსცეს თბხ პროცენტთან სერიები 250 მილიონისა, ვადფართავოს მოკლე ვადანი სერიებისა და სახელმწიფო ხაზინის მოწოდებათა ზარატი, და აზრადაც აქვს ვამოსცეს ახალი მომგებიანი სესხი. ვარდა ამისა შინგაროვი აღნიშნავს საჭიროებას ნიადაგის შეზღუდების მსხვილი სესხის ასაღებად უცხოეთში. ვარდა ვრძელვადიან საკრედიტო ოპერაციებისა, საჭიროა ბოლომდე იქნას ვამოყენებულ საემისიო უფლება. კანონპროექტი ვანსაკუთრებულ მდგომარეობას არ ჰქმნის რუსეთისათვის, რად ვანაც ვაფრანგეთის, ვერმანიის ინგლისისა და რუსეთის ვაპირისპირებიდან ნათლად სჩანს რომ რუსეთს პირველადილი უჭირავს ბანკ-ოტების ოქროთი დავარვის საქმეში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინგლისს, სადაც საკრედიტო ბილეთს ვადახრდაცვალი ოქროზე ვანუყვეტელი სწარმოებს. შინგაროვი აღნიშნავს თუქცა რუსეთს დიდძალი ოქრო აქვს, მაგრამ საკე-

**დეკეშა**  
(საკუთარ კორესპონდენტისაგან)  
ათონი  
სამმართველოს წევრად არჩეულ იქნა კრინიცი, ქალაქის მდივნად მესხი.

---

**ახალი ამბავი**

ეპისკოპოსმა კირიონმა, აღ. თ. ყიფშიძემ და აღ. არაბიძემ უარი განაცხადეს წერა-კითხვის საზოგადოებამ აუნაზღაუროს მათ ცეცხლისაგან პოსტობით მათი თხოვრებების სავსური. ეპისკოპოსი კირიონის იყო წერა-კითხვის წიგნის მალაზიაში 891 მან. 45 კაპ., აღ. ყიფშიძის — 375 მან. 97 კაპ. და აღ. არაბიძის — 26 მან. 02 კაპეიკისა.

უხვი შეწირულობა. ქუთაისის პროფესიონალ ოთხ-კლასიან სასწავლებლის გამგეს ეგგენია კორძიას მივლი თავისი ქონება, ღირებული დახლოებით ხუთი ათას მანეთამდე, უანდერძებია ქ. შ. წ.-კ. ვამავრცელეულ საზოგადოებისათვის.

კიდევ შეწირულობა. ქუთაისში ამასწინად ვარდაცვალო გიორგი კოსტავა, რომელსაც როგორც სარწმუნოდ ვავიგეთ, ანდერძით დაუტოვებია წ.-კ. საზოგადოებისათვის ათასი მანეთი!

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობამ დაადსტურა ვანაჩენი ქუთაისის საადილ-მამული ბანკის ვამგეობისა, რომ მართვა-გამგეობა საზოგადოების სკოლებისა ქუთაისისა და სენაკის ვადიდეს დასავლეთ საქართველოს თავდაზნაურობის ხელში, რომელიც ხსენებულ სკოლებს ფაქტურად ინახავს.

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მისწეროს ყველა თავის ვანყოფინებას, რომ წარსულ წლების შემოსავლის 20 პროცენტი დაუყოვნებლივ ვამოგზავნონ მთავარ ვამგეობას.

კრება. დღეს, საღამომ 8 საათზე, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს საყურადღებო კრება ექნება, რომელსაც აგრეთვე დაესწრებიან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ვამგეობა და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორი ს. ნ. ტომოფიცი. კრებამ უნდა ვანიხილოს საკითხი სავითად საქართველოში ქირანხლის მოწავლობის შესახებ და ვამოქმედნოს საშუალებანი ამის წინააღმდეგ.

სანიშნუ შური. ქალაქის გამგე-

ობამ სანიშნოდ დაბალი ხარისხის პური გამოაცხობინა, რომელიც, თუ სავარგისი ვამოდგებოდა ვამოქვეულ სომხებისთვის უნდა ეძლია საკვებად. პური უვარგისი ვამოდგა და ამის ვამო ისეთ პურს აღარ მიავრდებს ვამოქვეულებს.

ქალაქის მეორე კომარციული სასწავლებლის ვამოც ვამეირდებისა დაიწყება დღეს, ხოლო სწავლა დაიწყება პირველ სექტემბრიდან.

სომეხ ვამოქვეულთა დახმირება. სახ. სათათბიროს წევრმა მ. ი. პაპაჯანოვმა შემდეგი დეკეშა ვაუგზავნა ეპისკოპოს მესრობს: „მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 4 აგვ. ხაზინიდან ვადადებული იქნა 500, ათასი მანეთი სომეხ ვამოქვეულთა დასახმარებლად. შესავფრისი კრედიტი ვაგნხნა მეფის მოადგილესაც. პარასკევ საღამოთი სათათბირო დახურულ სხდომის დროს ვანიხილავს კანონ-პროექტს ვამოქვეულთა შესახებ. ვზრუნავ შემდეგი შეგლის აღმოსაჩენად“.

დაპირლ-ავადმყოფები. მოსარჩენად მოიყვანეს პოდპორუიკი სერ. ა. ნასიძე მე-26 ლაზარეთში; კაპიტანი კონს. გრ. ანჯაფარიძე მე-39 ნომერში.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო, თ. მთავრობისა და ამხანაგობის წიგნის მალაზიის ვამოქვეულთა, ვამოხულ სიტყვიერებითი ქრისტომატია „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 310 გვერდს და ვასბოს ყდით 1 მ. 20 კ.

დასახვებლად წახვლა. ქალაქის ვამგეობის წევრმა გ. დ. ჟურულმა ნება-რთვა აიღო და პირველ სექტემბრამდე დასახვებლად წავიდა.

ქალაქის მოუზავი ა. ი. ხატისოვი ვამოქვეულ სომხების საქმეთა ვამო დღეს ერევანში მიემგზავრება, საიდანაც 2—3 დღის შემდეგ დაბრუნდება თბილისში.

ხარჭუნის კლუბში მოსამსახურენი ვაიფიცნენ 17 აგვისტოს. მიუხედავად იმისა რომ კლუბის მამა-სახლისთა საბჭომ შეადგინა ახალი ინსტრუქცია, რომელიც ისეთსავე წესების დამტკიცებას მოითხოვს, როგორიც სხვა კლუბებშია. ორი დღის შემდეგ შეთანხმება ჩამოვარდა ვაიფიცულთა და მამასახლისთა საბჭოს შორის. ვაიფიცის დროს მოსამსახურეთა მოვალეობას ასრულებდნენ მამასახლისები და ზოგიერთი სტუმრები.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ვამო. ხარბინიდან შემდეგი შინაარსის

დეკეშა მოვიდა ხარბინილი ქართველებში მთელი თავისი გრძნობით უერთდებით ქართველ ერის გლოვის დიდებულ მგონისსაგან ქვეყნისაგან და დაცულების ვანაქვეყნისაგან ქვეყნისაგან.

ბათუმის სკოლის ვანახლება. ბათუმის ქართული სკოლა, როგორც ვიცით, ომიანობის ვამო დროებით დაცეტილი იყო. მაგრამ რაკი ამ ვამად ბათუმის სხვა სასწავლებლებმა უკვე დაიწყეს მოქმედება, ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ვამგეობამ დაადგინა, პირველ სექტემბრიდან ვანახლოს სწავლა ქართულ სკოლაში. სკოლას ვერ-ჯერობით 2 მასწავლებელი ეყოლოდა, რადგან იქაური მასწავლებელი მარამ ღონისძიებ ქ. ს. ვამგეობამ კავკავში ვანაწესა მასწავლებლად.

ვადამდები სენი. 19 აგვისტოს ქალაქის თავმჯდომარე იმყოფებოდნენ: ქუთათოშვიანი 32, ხუნგაიანი 19, ყვავილიანი 2, მუცილიანი 4, საოფლიანი 19 და შავი სახადიანი 32 კაცი.

სურსათი. 18 აგვისტოს თბილისში მოტანილი იყო: ვეჭილი 11 ვაგ., ხორბალი 1 ვაგ., შეშა 2 ვაგ., ღვინო 2 ვაგ., ჩიი 299 ფუთი, კარაქი 108 ფ., ყველი 120 ფუთი, ახალი თევზი 414 ფუთი.

დაპირლი ვარისკაცნი: თბილისში ჩამოვიყვანეს და სხვა და სხვა ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი ქართველი ვარისკაცნი: კოსტანტინე ივანეს ძე დარიაშვილი, არსენ ლევანის ძე კიბაძე, ელიზბარ რავლეს ძე ვაგზავა, არჩილ ნიკოლოზის ძე ასანისძე, დათა ირაკლის ძე ბენიაშვილი, მელიქტონ თომის ძე ალფონსი, სოლევან ბეკ. ქაჯაია, იაკობ ვოლინო, ვარლამ აკობის ძე ახუაშვილი, არსენ დიმიტრის ძე ბეშვილა, სოლომონ ბებ. გურგენიძე, ერმელე გიტოს ძე კალანდანი, ნიკო ეგნატეს ძე ნადაიძე (პრაპორშვიკი), ნიკო ნიკოს ძე ვაგაბინი (ეჭიმი), ქრისტეფორე კოსტანტინეს ძე ქარუმიძე (პრაპორშვიკი) გიორგი აბრამის ძე ჩინხაშვილი.

ქართველ ერის ისტორია. პროფესორმა ივ. ვაგაბინიშვილმა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ვამგეობას ვადასცა დასაბუქლათ თვის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო — ქართველ ერის შემოკლებული ისტორია“.

შუამდესად დაჯილდოებულ იქნენ: მესამე ხარისხის წმ. ვლადიმირით კავკასიის დივიზიის ექიმი გრიგორი ვაგაბინი.

მეოთხე ხარისხის წმ. ვლადიმირით თბილისის ნიკოლოზის სამხედრო საკრებულოს დეკანოზი ნიკოლოზი ნათაძე.

**ზატარა ფელეტონი**

გათხვდა...

I  
ლოზა არა თხოვდებოდა და ესლა მინდობა ვათხოვება.

აბა თხოვდებოდა იმით რომ... „სტაკო“ არ მოსწონდა, უსათუოდ აფიცერი უნდა ყოფილიყო...

— მე თქვენსავით მშვიტ ჩინოვიკ და ძუნქ ვამერსანტს კი არ მივთხოვდები — უთქვია ხშირად ლოზას თავის დობილებში: თუ ვაფთხოვდები, ისევ ზახ-მუხ აფიცრე... აფიცერი სულ სხვა... საცა ვაიფი პატივი და მოკრძალებია...

— აფიცერს რომ ვადაპარტიკებენ ხოლმე ომში, ის არაფერი, — უპასუხებდნენ დობილები:

— მინც სხვაზე მეტი არიან, — ეტიბარს არ იტებდა ლოზა: სხვა არა იყოს არ, აფიცერი ცოლი უზარუნეყოფილია, „პალკვირი დამათ“ ითვლება და პენსია აქვს...

II  
ლოზა ლაზარეთში მოწყალების დიო შევიდა. ეგონა, ამ ლაზარეთში დაპირლი აფიცრები ეყოფილებოდა, მაგრამ ავად-მოკრე და ვაპირლ ვარისკაცებით სავსე რო დახვდა ლაზარეთი, არ იამა.

— ევაც ჩემი ბედია, — თავისთავად ჩიოდა ლოზა: რაღა ამ ლაზარეთში დამნიშნეს — ერთი აფიცერიც არაა... ვადავლ სხვა ლაზარეთში...  
ლოზამ ვაიფო, რომ სხვა ლაზარეთში აფიცრები იწყენენ, იმ წამსვე ითხოვა იქ აღდგოლი.  
ლოზას უარი მოუვიდა: „მოწყალების დის ვაკანსია არ არის, თუ გსურთ „სიდელისი“ ადგილი კი არისო“...  
— ლოზას თონდა არ ესიაოუნვა ცივი

უარი, მაგრამ მაინც იმედი არ დაჰკარგა:  
— მე კი აფიცრის მავთხოვდე და...  
„სიდელკა-მიდელკა“ რას მიქვია... — გა-  
ბრაზებული აღარ იცოდა რას ამბობდა  
ლიზა: უფრო ავადმყოფი აფიცრითან ახ-  
ლო ვიქნები... შეიძლება მოწყალების  
დაც მალე გავხდეთ... მაშ რა? ეხლაც  
რომ არ გავთხოვდე აფიცრებზე, ამ აფი-  
ცრების დროს, მემრე როდის  
ლა ველირსები?

III

ლიზას „ფერიცვლობაში“ თითქმის  
ყველა ნაცნობი თუ უცნობი მოღვაწეო-  
ბას ხედავდნენ: მართლა და ვინ რა იყო-  
და თუ რა მიზეზით შეიძლება ჯამაგი-  
რი და რად შეიკვლია ლამაზი და კოპ-  
წია ტანისამოსი სათნოების დისა უშნო  
და უსაზათო მომვლელის ტანისაცმე-  
ლზე?

ლიზა მუყაითობასაც არ აკლებდა:  
ერთავად არა შორდებოდა ერთ ავად-  
მყოფ აფიცრის ტახტს.

— ბიჭო, ცოლია ეგ ქალი, რად ატ-  
ყულივ... შენ მაგას მართლა უცოლო  
შგონიხარ, — აფრთხილებდნენ ამ აფი-  
ცრის ამხანაგები: თურმე განზრახ შე-  
მოსულა აქ, რომ აფიცრის მისთხოვდეს...

— შეც იმიტომ ვატყუებ, რომ კარ-  
გად მომიაროს, — ოხუნჯობდა ეს აფიც-  
რი: იმ დღეს ხაჭაპურები მომიტანა სახ-  
ლიდამ... აი ბეჭედიც კი მითავაზა...

— ხა, ხა! მემრე შენი ცოლისა არ  
გეშინიან?.. ან არა და მაგას რა დღეს  
დააყრის?! ხა, ხა!

— ჩემმა ცოლმა იცის ჩემი ხსიათი...  
ცოტა ანჩხლი და იქვანი კია...

IV

— შემეშვით ქოლო, მე მინდა ჩემი  
ქმარი ვნახო, — მიადგა კარებს ვილაც  
ახმაზი დ ფრანტი-ფრუნტი ქალი: მე ნე-  
ბართუა მაქვს ქმარი ვნახო... ჩემი კოლა...

— არ შეიძლება, კოლას ცოლი არა  
ჰყავს, — წიწმარტობდა ლიზა: მე თქვენ-  
თვის კი არ... მოგარჩინე და...

— ქა, გაგონილა, თქვენა მყრით  
ცოლს ქმრისაგან?..

— კოლას ცოლი არა ჰყავს-მეთქი...  
ის მე არას დამიმაღლეს... იმან სიტყვა  
კი მომცა...

— რას მიჰქარამ, დედაკაცო?!  
— მიჰქარამ და მეტიც მოვდის.

— მიჩვენეთ, ვინაა აქ ექიმი, ზედამ-  
ხედველი...  
— მე ვარ კოლას პატრონი...

— ექიმსაც არ დაუფიანებია, აყალმა-  
ყალზე მალე გაჩნდა...

V

მეორე დღეს ლიზა ლაზარეთიდან  
„გათხოვდა“: არც კი გამოემშვიდა კოლას,  
ისე გაიპარა... გაბუტული.

დუშელი ვანო.

**უგადური პარი თუ  
მიღი დაუსასაზი?**

ამ ბოლო დროს ქართულ გაზეთებში  
იწყებს წერა ქართველ დეპუტატების საქ-  
ცილებზე.

— ჩვენი დეპუტატები კარლო ჩხეიძე და  
ჩხენკელი, ჩივიან გაზეთები, სათათბირო-  
ში სტუმარს, არას ამბობენ ქართველ ერ-  
ზე, ჩვენს ქირ-გარამზე და სხვ. „

მართლაც, კარგად რომ ჩაუვყვირდეთ,  
ერთის მხრივ — ერის თვალსაზრისით —  
დღი უცნაურობა და დანაშაული ჩვენნი  
დეპუტატების საქციელი. დეპუტატებისა  
და „თანამედროვე აზრის“ რწმენით კი  
დეპუტატები ცამდის მართლანი არიან,  
მხოლოდ ტყვილა-უბრალოდ ქართველი  
ერი მათი უმადურია, როგორც საქიროა  
ისე ვერ აფასებს თავის ძვირფას შეი-  
ლებს.

როგორ?  
— სათათბიროში სხვა ერების დეპუ-  
ტატები ლაპარაკობდნენ თავიანთ ერზე,  
იცავდნენ მის ინტერესებს?

— დიახ!  
— ჩვენი დეპუტატები: ჩხენკელი და  
ჩხეიძე?

— არა.  
— ეხლა, როდესაც ახალი ხანა დადგა  
განახლებისა, ამ საშინელმა ომმა დიდი  
საკითხები წამოაყენა, სხვა ერების დეპუ-  
ტატები მოითხოვენ თავიანთ ერის თვით-  
მართველობას, რეფორმებს?

— მოითხოვენ.  
— ჩვენი დეპუტატები?

— არა.  
— სხვა ერების დეპუტატებს თავისი  
ერი უფრო უყვართ თუ სხვა?

— თავისი.  
— ჩვენს დეპუტატებს?  
— სხვა ერები.  
— სხვა ერების დეპუტატები რას  
წარმოადგენენ ქვეყნის თვალში?  
— პატარა კაცუნებს, ვიწრო ნაციო-  
ნალისტებს.

— ჩვენი დეპუტატები?  
— მსოფლიო სოციალისტებს.

ჩვენი დეპუტატები რომ გამოჩენილი  
ორატორები და კარგი სოციალისტები  
არიან, ეს ყველამ ვიცით, შეიძლება მათ  
ბადალიც არსად ჰყავდეთ. მთელი ევრო-  
პის და რუსეთის მოწინავე საზოგადოება  
იცნობს კარლო ჩხეიძეს და ჩხენკელს,  
აფასებს ჯეროვანად, პატრეს სცემს. ეს  
ასეც უნდა იყოს.

— მუშების ინტერესებს, განურჩევლად  
ეროვნებისა, იცავენ სათათბიროში ქარ-  
თველი დეპუტატები?

— მედგრად იცავენ.  
— ებრაელების უფლებობაზე ლაპა-  
რაკობენ ჩხეიძე და ჩხენკელი?

— ცხარედ ლაპარაკობენ.  
— აკლებულ პოლონელებზე.

— რასაკვირველია, პოლონელებზე-  
დაც.

— საქართველოზე და ქართველებზე?  
— კრინტასაც არ სძრავენ.

დღეს ჩვენში ერობის შემოღების სა-  
კითხი აღიძრა და მისი მალე განხორ-  
ციელების სურვილი დაიბადა. ქართვე-  
ლებმა იფიქრეს: „კაცო, ჩვენი დეპუტატ-  
ები პოლონელების ავტონომიზე ლა-  
პარაკობენ, ციმბირის მუშებს ესარჩლე-  
ბიან, აფრიკის ველურების თავისუფლე-  
ბას მოითხოვენ. ნუ თუ ჩვენზე — თავიანთ  
დღიოდ მძებნე — ოდნავ გული არ შეს-  
ტივით, მოდი ვთხოვთ, ჩვენზედაც  
ამოიღონ ხმა, ერთი ჩვენსკენაც დაილა-  
პარაკონ, ერობა მაინც მალე შემოაღე-  
ბინონ მთავრობას და გადასწყვიტეს  
სიხოვონ დეპუტატებს. გადაწყვეტილე-  
ბა სისრულეში მოიყვანეს და მოსტყუე-  
დნენ, უკედ რომ ვსთქვათ, ძლიერ შეს-  
ცდნენ.“

ქართველთა თხოვნა ჩხენკელს და ჩხე-  
იძეს სიცილადაც არ იყო.

— ვინ ვართ ჩვენ, ეკითხებიან ერთ-  
მანეთს, ჩხენკელი და ჩხეიძე.

— ცნობილი სოციალისტი ქართველი  
დეპუტატები.

— ერობა თუ ავტონომია?  
— ავტონომია თუ სოციალიზმი?

— როდესაც მივალწვით ჩვენს მიზანს:  
გაუმჯობესდება მუშათა ცხოვრება, იქ-  
ნება თავისუფლება სიტყვის, წერის...  
ეს

ქართველებისთვისაც იქნება?  
— რასაკვირველია იქნება.

— მაშ, რა საჭიროა ქართველების  
გამოცალკეება ეხლა?  
— არაფერი.

— ერობა გააბედნიერებს კავკასიის  
და კერძოდ საქართველოს?  
— სრულიადაც არა.

— რას იტყვის კაცობრიობა, რომ  
ჩვენ კავკასიის და საქართველოს ერო-  
ბაზე ვილაპარაკოთ?

— თავისიანების მიკერძობას დაგე-  
წამებენ, გაგაკაცებენ.

— მაშ სიჩუმე სჯობია.  
— ოღონდაც.

და გაჩუმდნენ მართლაც ჩვენი დეპუ-  
ტატები, მხოლოდ ერთმა მათგანმა, კარ-  
ლო ჩხეიძემ, საპასუხო წერილი დაბეჭდა,  
სადაც თავისიანებს არწმუნებს, რომ დი-  
დი უტაქტიკობა და შეუფერებლობა იქ-  
ნება მისი მხრივ დღეს მთავრობას სხო-  
ვოს შემოიღონ ჩვენში ისიც ერობა. ეს  
თხოვნადაც არა ღირს და სწორედ ვით-  
ხნათ არც ისე თავის დამოცილებო...

დეპუტატი კარლო ჩხეიძე, უმკველია,  
რომ მართალია, არაა გასამტყუნარი არც  
ჩხენკელი.

სად გამოჩენილი მსოფლიო სოცია-  
ლისტი დეპუტატები და სხვ თავის პა-  
ტარა ერის პატარა ერობაზე ლაპარაკი.

ევ. ხართანძი.

**ქიზიყი**

აი ეს მრავალ რიცხოვანი კუთხე ერ-  
თობ მივიწყებულა, ბევრი საყურადღე-  
ბა ჩიოი აწვეს მაგრამ მისი საზოგადოე-  
ბას არაფერი ესმის. ხალხის ცხოვრება-  
ში პირველი საკითხია საზრდო, ამიტომ  
საკმარისია გავისხნოთ წარსული წლე-

ბის მოუსავლიანობა, მიუმატოთ წლე-  
ვანდელი მოსავლის სიმცირე (მესამელი  
გამოსავალი აქვს), რომ ნათელი სახე  
მივიღოთ ქიზიყის ცხოვრებისა. სხვა  
წლებში, კალოობა დაიწყებოდა თუ  
არა, პურის სიძვირე კლებულობდა, უკი-  
დურესი ლატაკი კი მაძრავდა ჰგრძობა-  
და თავს, მაგრამ წელს აგერ კალოობა  
მიიწურა და არამც თუ პურის ფასი  
კლებულობს, არამედ უფრო გაძვირდა.  
ამ სიძვირის მეოხებითაა, რომ მთელი  
სოფელი დაიაროს კაცმა გამომცხვარ  
პურს ვერსად იშოვის ქეგომ-მაჩხანის  
სამეცქერეებს — გარდა; ხორბლის და  
ფქვილის შოვნა ხომ შეუძლებელია. სა-  
მაგიეროდ ბაზრებზე ყოველისფერი იშო-  
ვება. ვისაც რა გააჩნია აქ მოაქეთ გასა-  
სყიდად, აქვე მოეშურება ყოველი გა-  
ჭირვებული ხორბლის, ფქვილის თუ სხვა  
რამე სასიოვავის საყიდლად. სხვა ბაზ-  
რებს შორის ბოლნისის ბაზარია სა-  
ყურადღებო, რადგანაც აქ მრავალი გზე-  
ბი იყრის თავს და აერთებს როგორც  
ქიზიყ-სახეთს, აგრედვე ალაზანს ვალმა  
მხარე ზაქათალის ოლქს. სხვა სასიოვავე-  
თა შორის აქ ბლომად მოაქეთ ფქვილიც,  
მაგრამ მაინც ფუთი 2 მ. 80 კ.—3 მან.  
ფსობს. ამ გაძვირებას ხელს უწყობს  
უნაგარიშო დალაგების რაზმი, რომელ-  
ნიც მიუდევებს და გამყადდებს ერთმა-  
ნეთთან არ უშვებენ, თითონა ყიდულო-  
ბენ და მერე მცხოვრებლებზედ მოგები-  
თა ჰყიდნენ. ამათგან შეწუხებული ხლ-  
ხისაგან ლანდვა წყევლა გაისმის: ნებას  
არ გვაძლევენ ფქვილი მომტანისაგან  
ვიყიდოთ, რომ შევიღებო მშობრები არ  
დაგვეხოცნენო. ეს ცნობები იმიტომ მო-  
ვიყვანე, რომ ნათელი მეყო ქიზიყი რა  
ქონების პატრონია დღეს, და შემდეგ  
რა იქნება, ამის კითხვა მეტია.

ქიზიყში, ამ უკანასკნელ წლებში სა-  
ყურადღებოდ მიჰყვები ხელი ვენახების  
გაფართოვებას. მთელი წინამხარი ქუმ-  
ბათის მხარე სავენახეებათაა გადაქცეუ-  
ლი. გაზაფხულზე საკვირველად ესხა,  
ზოგიერთ ვენახებში თითო ვაზზედ 30  
მტევანი და მეტიც დათვალა, 10 მტე-  
ვანზედ ნაკლები კი არსად შემომჩნევი-  
ა, მაგრამ რა გამოვიდა? ამ უნაგარიშო ვე-  
ნახების აღურაცხველი მოსავალი ვაზებ-  
ზედ წითლად გახმაირი ჰქილია და ძაღ-  
ზედ ასხმულ ცეცხლში შემწვარი ჯანგებს  
წარმოადგენს. თუ სადმე უკეთესი ვენა-  
ხი იპოვება ეს იმითაა, რომელთაც ვა-  
ზაფხულზედ თითო პირი შეწამულა  
მაინც მოასწრეს. ამისთანა ვენახები კი  
ყოველ სოფელში რამდენიმეა.

ვენახების ზიანს სხვა და სხვა ცრუ-  
მორწმუნოებას აბრალდებენ, ნამდვილად  
კი იმის ბრალია, რომ მაისის გასვლა-  
მდის ცივი ადრების შემდეგ, გადაიდა-  
რა თუ არა საშინელი სიცივ დაიჭირა,  
შეცუბული ვაზი ვიდრე სითბოს შეე-  
ჩვეოდა სიცივამ მოასწრო და ქორფა  
ყურის დაბრაკა.

მოგესტენებთ, თამბაქოს წარმოებას  
ქიზიყში ფართო ასპარეზი აქვს დაიშო-  
ბილი. გამოკვლეულია ისიც, რომ აქაუ-  
რი თამბაქო, შავი ზღვის პირის თამბა-  
ქოს ღირსებითა სჯობია, და მოსავლის  
ბარაქიანობა ხომ ამ მრეწველობას ხელს  
უწყობს; მაგრამ რა გამოვიდა, აქამდის  
უგზობით მოწყვეტილ ქიზიყის მილიო-  
ნობით ფუთს თამბაქოს ბედს ორი-სამი  
თბილისიდან მოსული დალაგები განა-  
გებდნენ, რომელთაგან ფუთ თამბაქოზედ  
ფასი 2 მ. 50 კ. დაწყოილი 5 მ. 20 კ.  
ზევით არ აწეულა. ამ ფასსაც აძლევ-  
დნენ ადგილობრივ სოფლის იმ დალა-  
გების ხელში მუქთად გადასვლას. პირ-  
ველი მავალითი იყო წარსულ 1914  
წელს, რომ თამბაქო ფუთი 8 მ.—12  
მანეთისდის ვაიყიდა, რადგანაც სიძვი-  
რე ყოველისფერსა ბოქავდა, მაგრამ  
წელს კი უფრო ერთი სამათა სკარბობს,  
ხოლო მუშათა ხელფასი ხომ საარაკოა.

11—12 წლის ბავშვებს 30—45 მანეთს  
აძლევდნენ, უფროსს დაეკავებულს 70—  
80 მანეთამდის. კითხვა იბადება: ამის-  
თანა ხარჯის გაშვებს პლანტატორს რა  
ფასში შეუძლიან გაჰყიდოს? მათი ბედის  
სასწორი ხსენებული დალაგების ხელშია  
და მოგვებს მისცემენ თუ ზარალს მათს  
სეინდისხედაა დამოკიდებული. დღემ-  
დინ ქიზიყში მათს გარდა თამბაქოს მიე-  
დგელი გარეშე ვაჭარი არაფერს მოდიო-  
და, ხოლო რკინისგზის შემეწეობით  
წელს თუ მოვიდა ვინმე, ამ ვაჭარბო-  
ნებმა იციან მოსულის დახვედრაც...

იციან როგორ დააბრუნონ ხელცარიელი,  
წელს, ვკონებ თამბაქო სიფრთხილით  
გასაყიდი უნდა იყოს, რადგანაც სხვა

მხარეებიდან თამბაქოს მოტანა მოუხერ-  
ხებელი იქნება რაიცა მეტოქეობას ვე-  
ლარ გაუწვეს. გარდა ამისა, თამბაქოს  
მოსავალიც ძალიან ნაკლებია. აქ თამ-  
ბაქო 1 1/2 არშინიდან 2 1/2 არშინამდის  
იზრდება, ამისიმილზე მცენარის ფოთ-  
ლის სიმრავლე აბარაქიანებს მოსავალს.  
წელს კი 1/2 არშინიდან 1 არშინამდის  
ძლივს ახწვეს, მეტი წილი კი უფრო  
დაბალიცაა, რასაც რა თქმა უნდა, და-  
ლიან ნაკლები მოსავალი აქვს, მაგრამ  
თამბაქო კი ღირსებით წინანდელზედ  
უკეთესი იქნება.

აი ეს სამი მთავარი დარგი ქიზიყის  
წარმოებისა რა ბედშია, და მისი შემ-  
ყურე ხალხს რა ნაირად შეეძლება ცხო-  
ვრება, ეს დაფარული აღარაა. ბზე და  
თივა ქიზიყისა არც წინად გასულა ბა-  
ზარში და ვერც წელს გაიტანენ რკინის  
გზის სიშორის გამო, რადგანაც ეს ში-  
რაქიდან და უკანა მხრიდანაა გასატანი  
და რკინის გზას ვერსაიდან ხვდება, მი-  
სი ურმით გატანა ხომ მოუხერხებელია  
ისევე, როგორც აქამდის იყო.

რაღ შეეხება მესაქონლეობას, ეს მხა-  
რე მეტად უკან წავიდა, მსხვილ ფეხი  
საქონელი შემცირდა, მისი ვაჭრობა ად-  
გილობრივ წვრილი ჩოდრების ხელშია,  
რომელნიც გაჭირვებულთაგან თავის ნე-  
ბაზე ყიდულობენ და თბილისში მიეღა-  
ლებიან.

განა ყველა ეს გაჭირვება და წუხილ-  
აკმარა განგებამს სრულიადაც არა.

ამ ტან-  
ჯულ ხალხს, თვით ურმის საქონელიც  
აღარა ჰყავთ თავსნიერი, თურქულმა  
მთლად დაამონავა ეს ერთად-ერთი ხალ-  
ხის მასაზრდოვებელი ძალაც.

იროდიონ ოქროშავილი.

**ჩვენი ცხოვრება**

სოფ. მავჭირისხაში. ეს სოფელი და-  
შორებულია ქ. გორზე 18 ვერსით, რო-  
გორც ბუნებრივი სიძლიერით, ისე კულ-  
ტურის მხრივ, სხვა სოფლებთან შედა-  
რებით წინა დგას. არსებობს ორკლასი-  
ანი სამრევლო სკოლა, უფასო სამკითხე-  
ლო, კოაპერატიული დუქანი და სხვა.  
მიმოსვლა შესიერად წარმოებას, გზებიც  
კარგად არის. აღსანიშნავია აქაური მა-  
მასახლისის ბ-ნ ლ. თულაშვილის საქმი-  
ანობა, რასაც ხალხი უფასებს, და კეთი-

ლის ხსენებული მერე ჰყავთ მიწნე-  
ლიც, სხვათადაც წყველ მოსავალი ნაკლე-  
ბია. სასიოვავის სიძვირე აქაც დიდია.  
ი. კობახიძე.

რედაქტორ-გამომცემელი  
**სანდრო შანუბაშვილი**

**კახეთის რკინის გზის მიმოსვლა**  
(დრო ადგილობრივ საათით არის  
ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხ-  
შაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნ-  
დება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და  
შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

თბილისიდან . . . . .	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთულ-ამიერ-კავ. . . . .	8 „ 40 „ „
ნავთულ-კახეთ. . . . .	8 „ 58 „ „
ვაზიანიდან . . . . .	10 „ 06 „ „
ივრიდან . . . . .	21 „ 15 „ „
საგარეჯოდან . . . . .	11 „ 58 „ „
ბაღდადრიდან . . . . .	12 „ 56 „ „
მელაიდან . . . . .	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან . . . . .	2 „ 37 „ „
კარდნახიდან . . . . .	4 „ 12 „ „
წნორის-წყალზე . . . . .	4 „ 44 „ „

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

გურჯაანიდან . . . . .	3 ს. 42 წ. საღ.
ვანახიანიდან . . . . .	4 „ 33 „ „
თელავში . . . . .	5 „ 27 „ „

**თბილისიდან გორამდე:**

წნორის-წყალიდან . . . . .	8 ს. 58 წ. დილ.
კარდნახიდან . . . . .	9 „ 41 „ „
გურჯაანიდან . . . . .	10 „ 24 „ „
მელაიდან . . . . .	11 „ 39 „ „
ბაღდადრიდან . . . . .	12 „ 59 „ დღ.
საგარეჯოდან . . . . .	2 „ 80 „ „
ივრიდან . . . . .	2 „ 50 „ „
ვაზიანიდან . . . . .	3 „ 55 „ „
ნავთულ-კახეთ. . . . .	4 „ 58 „ „
ნავთულ-ამიერ-კავ. . . . .	5 „ 13 „ „
თბილისში . . . . .	5 „ 28 „ „

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

თელავიდან . . . . .	8 ს. 54 წ. დილ.
ვანახიანიდან . . . . .	2 „ 58 „ „
გურჯაანში . . . . .	10 „ 07 „ „

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის  
მიმოსვლა**  
(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში გოდის:**

№ 3 ბაქოდან . . . . .	2 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათომიდან . . . . .	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი) . . . . .	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან . . . . .	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან . . . . .	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან . . . . .	7 ს. 25 წ. დილ.
„ საგარ. 10 ს. 28 წ. საღ.	

**თბილისიდან გადის:**

№ 3 ბათომისკენ . . . . .	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ . . . . .	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი) 12 ს. 8 წ. დღ.	
№ 9 ბათომისკენ . . . . .	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ . . . . .	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ . . . . .	8 ს. 29 წ. დღ.

**წიგნის მაღაზია**  
**„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РЪЧЬ“).**  
ი. დ. კიკნაძისა.  
თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.  
გვექვს ყოველწიური ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველწიური ბიბლიოთეკის  
შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.  
განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წი-  
გნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქკარითიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ  
დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენზე მივიტანოთ  
(წ.—31)

**თევზის მკურნალობა**

**თევზის მკურნალობა**  
**აგ. კეგელიძე**  
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.  
**განყოფილება სვლაპარაუი**  
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7, ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვინს საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილუკის-შვიტი“, სამრე-